



2130.



გაზეთის ფასი

გაზეთი: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტო შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ აღრესით უნდა გამოგზავნონ: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗЕТЫ „ДРОՅБА“.

ხელის-მოწერა

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში. ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი აღრესით უნდა დაიბაროს: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ КОНТОРУ ГАЗЕТЫ „ДРОՅБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მედინაზე, შაბურაგის სახლებში.

უნივერსი:

საქართველო: ჩვენი ხალხის მონაწილეობა საყოველთაო სამხედრო სამსახურში — წერილი — „დროების“ კორრესპონდენცია: ხონიდან — აგვლიდან — თელავიდან — პასუხზედ პასუხი — წიგნი რედაქტორთან — რუსეთი: საყოველთაო სამხედრო სამსახურის წესდება წერილი ამბები — უცხო ქვეყნები: პარიზი 17 ფებრ.

შეტოვნი. სტატია მეველსა.

საქართველო

ჩვენი ხალხის მონაწილეობა საყოველთაო სამხედრო სამსახურში

შმაღლესი მანიჭესტის ძალით ძავეკასია განთავისუფლებულია ჯერ-ჯერობით საყოველთაო სამხედრო სამსახურისაგან. ამ ნაირს ჩვენი ქვეყნის განსხვავებას დანაშთენს იმპერიათან საგულისხმო იყო, რაიმე საფუძველი ექნებოდა, და, მართლაც, მმართველობის მოსაზრებანი ამ შემთხვევაში ყოვლად პატივ საცემელი და მოსაწონი გამოდგენენ, რამდენათაც ჩვენ ამ საქმის გარემოება გავიგა.

მართველობამ კარგათ იცოდა, რომ ჩვენთვის და შუა გულ ლუბერნის მცხოვრებისათვის ერთი და იგივე ზომა არ ივარგებდა. და არ ივარგებდა იმიტომ, რომ ჩვენ თათქმის არაფერში არა ვგავართ ერთმანეთსა. ბუნებით თვისებებში, აღზრდაში, ჩვეულებებში, რწმუნებებში და, უკანასკნელად, ქვეყნის მდებარეობაშიც — ყველა ამებში ერთობ საგრძნობელი განსხვავებაა. აი ამ მიზეზების გამო ძავეკასია გადარჩა ახალ სამხედრო კანონს.

შოველი დაწესებულების მნიშვნელობა, რასაკერძოვით იმისი სარგებლობაა. თუ კი რომელიმე საქმე, გინდ ცხადი უღაო ქეშმარიტებათაგანი იყოს ზოგიერთ შემთხვევაში არ იქნება გამოსადეგი, მაშინ იმის მიღება არც გონიერებაა, და არც სა-

მართლიანობა. ამ ნაირს მდგომარეობაში ეყუებით სწორეთ ჩვენცა. ჩვენთვის მუდამი სამხედრო სამსახური, იმისი მიმე მხარეები აუტანელი იქნებოდა და სახელმწიფოსათვის ამ ნაირი ნიდაგ მდრტეინაევი ჯარის ყოლა უსარგებლო. მმართველობამ მშვენიერად განსჭერიტა ეს დაბრკოლება, და ამისთვის ჩვენ კიდევ ერთხელ ეაცხადებთ სრულს კმაყოფილებას და თანაგრძნობს.

მაგრამ სრული უმონაწილეობა ჩვენი ქვეყნის დაცვაში არც ჩვენ გვესიამოვნებოდა ცხადია, და არც მმართველობა ინებებდა ამას. აი ამ მოსაზრების ძალით, როდესაც მმართველობა ინებებს, და შემოიტანს ჩვენს მხარეში ახალს სამხედრო წესს, აქაურს თვისებებსა და პირობებზედ დაფუძნებულს, მაშინ რასაკერძოვითა ჩვენი მხარე კმაყოფილებით მიიღებს მონაწილეობას ამ ქვეყნისათვის წმინდა საქმეში.

W.

განცხადება თფილისის სამაჰრო ბანკისა

თფილისის საეჰრო ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საცნობად, რომ ბანკი 11 იანვრიდან 1874 წ., ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელს:

Table with interest rates for various terms: 1.) სესხზედ იმ სარგებლიან ქალაღებში, 2.) სვეციალურს ხელად მიბარებულ ფულში, 3.) ვექსილების დაცვლაში, 4.) საქონლის გიროში.

იხდის

- 1.) ხელად მიბარებულ ფულში . . . 5 %
2.) შესანახად მიბარებულში
ა.) მოთხოვნამდის . . . 5 %
ბ.) მქესი თვით . . . 5 %
გ.) მართ წლით . . . 6 %

დ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში — სამმართველოსთან მორიგებით.
სამთავროდ შესანახი ფული მიიღება: ყველა კერძობითი პირისაგან, მოვაჭრე საზოგადოებათაგან და კაპიტანებისაგან, ეკლესიებისა და ზონსტრუქციისაგან, სასაზინო და საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან, — ას მანეთზედ არა ნაკლებით.

ბანკი შენახული ფულების ბილეთები, ფინანსთ-მინისტრის განკარგულების თანახმად, ყველა სასამართლოებში და სასაზინო სამმართველოებში იჯარისა და შეკრულობის გიროვად მიიღებინა: უფალო და ექვს თვემდის ვადიანი — მანეთი მანეთად და ერთის წლის და მეტის ხნით ვადიანი — ცოტა ნაკლებათ. შორით გამოგზავნილ შესანახს ფულს შემდეგი განცხადება უნდა მოჰყვეს:

ВЪТИФЛИССКІЙ КОММЕРЧЕСКІЙ БАНКЪ

Отъ такогo-тo ОБЪЯВЛЕНІЕ

Препровождая при семь столько то рублей, прошу принять эту сумму на вкладъ для обращенія изъ процентовъ на такой то срокъ (или до востребованія, или на такихъ то условіяхъ) и выслать билетъ на мое имя или на имя тогого то, или на предъявителя, по такому то адресу. Число, мѣсяць и годъ. Подпись и мѣсто-жителство.

ბენეშტადის და მართანოვის წიგნების მაგაზინში და ივანოვის ბიბლიოთეკაში, თფილისს, და ლორთქიფანიძისაში, ქუთაისს, ისყიდება რუსული წიგნი:

ქუთაისის მაზრის სამსაჯულო.

პროცესი ნ. ი. ნიკოლაძისა, რომელსაც მაზრის სამსაჯულოს შეურაცხყოფას აბრალდებენ.

ფასი ორი შაური.

ძალაქს გარეთლებს შეუძლიანთ ორი ორ-შაურიანი ფოჩტის მარკა გამოგზავნონ ამ წიგნის ფასად.

წვრილი ამბები

— საჩხერიდგან სწერენ „თფილისის მოამბეს“, რომ იქ სამარელების შესაწვერად წარმოუღდენიათ აქამდისაც ბ. მირისთვის კო-

მედიად ცნობილი „ტუნწი“. ანტრაქტის დროს უფ. ახუმოვის სკრიპკაზედ დაუკრავს.

— 26 თებერვალს „თფილისის წრის, ზალაში სიმონოვიჩისამ წაიკითხა ლექცია შკოლურს დისციპლინაზედ. ლექცია მშვენიერი იყო, მეტადრე სხვა ლექციების შედარებით. სრული ანგარიში ამ საღამოს წაიკითხს ლექციებზედ შემდეგ ნომერში იქნება.

— „სასოფლო გაზეთი“ გეაცნობებს, რომ თიანეთში სასოფლო ბანკი იხსენება. ამ ბანკის დაწესება უფ. ნიკოლოზ ჩოლაყაშვილს გამოუწყია.

ბანკის წესდება ეხლა წარდგენილია გუბერნატორთან. ამ წესდების დამტკიცებამდის რაც შეკრებილი საბანკო ფულებია, ჯერ ჯერობით მართო ას ოცი თუმანი, საეაქრო ბანკში შეუნახავს.

— სოფელს ხოვლეს რომ შკოლა დახურეს ამას წინათ, ის შკოლა ხელონოვ უნდა გაიხსნასო. ბამოჩენილან იმისთანა პირნი, რომელთაც ამ შკოლის უფრო მკვიდრათ დაფუძნება უქისრნიათ. — (სასოფ. გაზ. № 1 1874 წ.)

— ახალციხის მაზრაში რამდენიმე ალაგს პურის მაღაზიები გაუშართათ. (სასოფ. გაზ. № 1, 1874 წ.)

„დროების“ კორრესპონდენცია

დ. ხონი 10 ფებრ. 1874 წ.

საქებარმა ძაღლმა ნიახურზედ გადაიარაო, სწორეთ ისე ემართება ჩვენ ხონსაც. მე მეგონა თუ მეტყველ არა ორჯელ მაინც ქართული წარმოდგენები იქნებოდა აქ, ამ ყველიერში; მაგრამ, ნუ შეგჭამოსთ მიწამ, ჩვენ აქ საკეთილო მოქმედება არ გვენახოს. ბუშინ კი ორკლასიან შკოლაში ალგერი გაათამაშეს, აქაური შკოლების სასარგებლოდ. ნიეთები იყო მოგროვილი ზოგი ვაჭების შკოლის შავირდებისაგან ნახელვა-

ფელტონი

საუცხოვო რამეა ეს ჩვენი ქალაქი! რა გინდათ რომ არ იპოვნოთ აქ? რა გვარი სიამოვნება, აღელვება, დატკობა და გამწვარება გსურსთ, რომ ვერ მოინახოთ თფილისის საუკუნო ქუჩებში!

ნამეტურ ეს ორი უკანასკნელი კვირა!... რა მდიდარი იყო ის სხვა და სხვა ნაირ საზოგადო ცხოვრებითა!... ძანცერტები, ლიტერატურული საღამოები, ლექციები, ფოკუსები ისე გადმოგვემო ერთბაშათ გაოცებულს თბილისელებსა, როგორც ივლისის სეტყვა. და მშვენიერი სანახაიეც იყო, მოგახსენებთ, ეს აჭრელებული თვალთმაქციობა. დასწყველოს ღმერთმა „სწავლა“ და სწავლული კაცებიცა. „საკვირველია ქეშმარიტად ამათი საქმე! დღემდის მე ლირსავით მეგონა, რომ „რა რაისგან არ იქნების არა რაიცა“. მაგრამ ეხლა სულ წინა-

აღმდეგ აზრზედ ვრწმუნდები. საბატო და პატოინინი ლექტორები ნათლად ამტკიცებენ, რომ „რა რაისგან“ იქმნების გვარიან გარგი ძალი რვეალ-რვეალ მანახები. მს მათის მხრით ღიდი დამსახურებაა შთამამავლობის წინაშე და დაუფასებელი დეწლი მეცნიერებისთვის!

ჩვენც ჩვენის მხრით შევსწირავთ უაღრესს მაღლობას და ვისურვებ იმათთვის: ცოტა საგნის ცოდნა, ცოტა ენის მეტყველებას, ცოტა ლოლიკურ სჯას და მომეტებულს გავგებას თავის ვალდებულებისას საზოგადოებისადმი.

თუ ღმერთმა შეისმინა „მხურვალნი ვედრებანი ესე ჩემნი“ — და რომ ამნაირ ჩემს უანგარო თხოვნას შეუერთდება გულ მხურვალე ლოცვა ყველა ლექციებზედ მოსიარულეთაც, ამაზედ მე ექვი არა მაქვს — მაშინ, ჩვენ უთუოდ დაჯილდოებული ვიქნებით მერმისთვის მაინცა. „სიჩქარით სოფელი არაგის მოუქამიაო,“ ამ ანდაზას ხომ არ მიყვებით, უფ. ლექტორო?

მეორე საყურადღებო საქმე ამ ხანებში ბელიაევის მკვლელების გასამართლება იყო. მაზრის სამსჯავრო ორივე სხდომაზედ გაქედლი იყო მყურებლებითა. პირველი დღე მოწმების ჩვენების ჩამორთმევას მოუხდამეორე დღეს კი წარმოსტქვეს: პროკურორმა ბრალმდებელი სიტყვა და ადვოკატებმა საკუთარი თავის დამცველი სიტყვები. სხდომაზედ ღიდი მთავარიც ბრძანდებოდა საზოგადოება მოუთმენელათ ელოდა რითი გათავდებოდა ათიოდე კაცის ბედი, რომელნიც იქვე იხსნდნენ.

დამცველებათ იყვნენ უფ. შიფიანი, ამატუნი, იაკოვლევი და არწრუნი. მსენი თითონ სასამართლოს დაენიშნა. პროკურორმა უარი სთქვა თავის ბრალმდებელ სიტყვაში უ. შიფიანის კლიენტების დევნაზედ და სხვებისათვის კი კატორგაში გაგზავნა მოითხოვა 13 და 15 წლითა. ამ განჩინებაზედ ბევრი არ უდავით ადვოკატებს. ისინი უფრო თავის თავზედ ლაპარაკობდნენ, ნამეტურ უ. არწრუნი და სამსჯავრომ სრუ-

ლიად დამტკიცა პროკურორისგან განაჩენი დასჯა.

ამ პროცესზედ უ. ამატუნმა განაცხადა, რომ „ნაფიცი მსაჯულების უყოლელობა ძალიან საგრძნობელი არის ჩვენი საზოგადოებისათვისო“.

ამ დროს რაღაც მოძრაობამ ჩამოიბრინა ზალაში. რომ მოვიხედე ყველასი პირი ილიმებოდა. არ ვიცი კი რისი ნიშანი იყო ეს ღიმილი; იმისი, რომ ესიამოვნათ მთავრობის წინ გამოცხადება თავის საჭიროებისა, თუ ისა, რომ ამ ნაირი სიტყვის უმნიშვნელობა ცხადი იყო ყველასთვის?

* *

ამ ამბის შემდეგ ორიოდ სიტყვას ვიტყვით სენათზე. სენათში, როგორც გვატყობინებს კორრესპონდენტი, რეწორები ხდება.

მს საქმე ცოლების ჩამორთმევით დაწყებულა. მისიკოპოსის განკარგულებით ვისაც

ნები მებეღები, და ზოგი ქალების უფასო შკოლის შემონაწირავე ნივთება; ესენი ყველა ღირებულება 90 მანეთად. ამ ნივთებში ფული დარჩა ორივე შკოლებს ხარჯის გამოარიცხვით 60 მანეთი, ასე რომ ხარალმა აჯობა მოგებას 30 მანეთით. ღმერთმა უშელოს, ვინც ამ სთანა მოგებინა ანგარიში გვიჩვენა; და თუ ამისთანა შემწე პირები არ მოგვეშალა, ისე ამაღლებენ სასწავლებლებს, რომ მიწაზედ ფეხსაც არ დადგებიან. არ შემოძლია დეფარო, არ გაცნობათ, რამდგომარეობაშია აქაური უფასო შკოლა: ვინ დაიჯერებს, რომ მას დღეიდან ათათვის მეთი საზრდო არა აქვს; მე ძრიელ მივირდა ამის მზრუნველებისაგან, რომ წლის ანგარიში საზოგადოებას არ მისცეს. ღმრს, როგორც სჩანს, საანგაროშო რომ არა დარჩომით რაზეღმირას დაგვანახებდნენ. პრეულად რაც ფული მობოქვს (დაულოცელი გონებით და ისე უხარჯავთ) ის უთავბოლოდ უხარჯავსთ, ასე რომ დარჩომით მხოლოდ 500 მანეთი; ხარჯი გადის თვეში 50 მანეთი. სხვა ნუგეში არ საით არის; აქედან ცხადათ დანახავთ, რამდენი ხნის სიცოცხლე ექნება ხონში უფასო შკოლას. პრეულად, როცა შკოლა გაიხსნა, ერთი წელიწადი ვაჭების მასწავლებლები უფულოდ აღლევდნენ უროკს; სახლიც უქირავოთ გვათხოვა ლუკა ღვთისძემ მორქაშვილმა. ღმერთმა უშელოს ამას ესრეთის საზოგადოკეთილი საქმის შემწირველობისთვის, და თუ ამას ეს კარგი საქმე არ ექნა, ღმრს დისაც გათავებდნენ ის ფული, რომელიც ეხლა არის.

მინ უნდა იქნეს პასუხის მებეღი, თუ ხონში უფასო შკოლა დაიხურა? პასუხს მებეღი განუდებან ის პირები, ვინც პირველად იკისრეს ამ საქმის თაობა საზოგადოების წინაშე; იმათ არ უშუძლიათ სთქვან, საზოგადოებას რაიმე უარი ეთქვას მათ საჭიროებაზედ. საზოგადოება ყოველს წამს მზათ არის მათის მოთხოვნის მიცემისა. მაგრამ, როგორც სჩანს, მოწყინდა იმათ ამ კეთილი საქმისათვის შრომა. — ღმრს რომ ვინმე ღვთისკაცი გამოჩნდეს და შკოლისთვის ფულის შემწირვა სურდეს, გამოამართვეი არავინ არის. ამას წინეთ ერთმა კაცმა 5 მანეთი მიუტანა უ. შდნოვს და უთხრა: „მე თქვენ შეგპირდით ეს ფული შევწირო ქალების უფასო შკოლას, აი აღმისრულებია ჩემი შეპირება და მიირთვითო.“ უ. შდნოვმა ის ფულიც დაუბრუნა და მასთან უბასხუა: აწ ფულს ნურავინ მოიტანთ, მე შკოლის შემ-

წე არა ვარო. იმ კაცმა ის ხუთი მანეთი დიდს სიამოვნებით ჯიბეში ჩაიგორა და უთხრა: ამის მეთი სამწუხარო ღმერთმა ნურა მოგცეო, მე ეს არ მიწყენოდესო. ძრიელ გამოვიტრდა ეს ამბავი, თუ რისთვის შერება ეს კაცი ამას მეთქი, მაგრამ რას ვიქდი, მცდილობდი გამეგო, რა იყო მიზეზი მისაგან ერთგულების მტრობათ შეცვლისა. ისე აღვირულდათ ყოველი კეთილი გულის წადილი, როგორც მეს გაიგე, თუ რისთვის შემხტარა და შეტრიალებულა ეს კაცი. მით დროს წევრები შეკრებილან შკოლის თაობაზედ მოსალაპარაკებლად, რომ სახლი ექირავნათ; ამათ გარდაუწყვეტიათ სახლის ქირავება და მიუხედავთ ერთის მათგნისათვის, რომელსაც სახლი უნდა ექირავებია. შდნოვს იმ კაცის სახლის ქირავება არ ნდომებია. ამ დიდ სწყენ საქმეს შეუცვლია მისი გული და დაუფანტინებია მასი ტეშმარიტი ერთგულება შკოლაზედ. ჩვენში ხომ საზოგადოათ ყოველ საქმეში ერევა უთანხმოების სენი, მაგრამ აქ მინც არ იყო კერძო სარგებლობა, რომ გამოჩვეია ის უწმინდური. ძველებური ანდაზა ამბობს: მანამდე იქეთა და ურისა თითი მოსჭრესო, სწორეთ ისე გვემართება ჩვენც. დანარჩენ მზრუნველებზედ ჯერ არას ვიტყვი და შკოლის დახურვასთანავე თითოეულად მოგახსენებთ, ვინ როგორ მოიქცა, რა ჩილია ამ საქმეში.

ამ ჟამად ხონის ქალაქის სასარგებლოდ შამოდის წლიურათ, გარდა იმისა, რაც ორკლასიან შკოლას აქვს მიჩენილი, 800 მანეთი ცოცხალი პირტყვის ბაჭისაგან, 300 მანეთი მიროკოი ოტდელისაგან, აგრეთვე ნოტარიუსის კანტარისაგან 400 მანეთადის, რომელიც შეადგენს სულ 1500 მანეთს. ამ ფულებიდან ქალაქის სასარგებლოდ ჯერ ერთი ბისტოც არ დახარჯულა. მის მიაკვს და რომელ ორმოში სცივას ფულები, ჩვენ არ ვიცით. ძარგი იქნებოდა მშართებლობა გვიქდეს მოწყობებას და ამ სუმიდან რამოდენიმე ფულს დაუნდნადეს ჩვენს უფასო შკოლას, რომელიც ღმრს მუდამ ელოდება გაქრობას, და იქნება მაშინ არ დაგეწვას საცოდავი შაგირდების ცოდვამ.

ხონელი შარაშიძე.

ს. აბკალა, 1874 წ.

აქაური გლეხის ცხოვრება ღმერთმა მტერსაც ნუ მისცეს; მართლა აკლია იმასა-

შემილით არ კვდება. მაგრამ ამ საოცარ სიღარიბეშიაც ახერხებს ხოლმე გაქცივებას, ისე რომ ზოგიერთ მდიდარსაც შეეხარბება, რომლისთვისაც ხურმა უცნობია. არც ბევრი რამა სჭირია იმის გამხიარულებასა. მთელი დღის მუშაობაში ოფლის ღერის შემდეგ, გლეხს მცირედი თვისუფლება და გართობაც კმარის. ის არ გაუნებიერება სასტიკა ხვედრსა.

შველიერი გაატარეს აქ დიდ შექცევებში მათებურად. მუშაობა დასტოვეს ყველამ ცოტას ხნით, გარდა იმათა მარტო, რომელნიც ერთ დღესაც ვერ მოახერხებენ შესვენებას უკიდურესი სიღარიბისა გამო. მისაც კი შეეძლო დაეწაფა ქეთსა. მამა კაცები ღვინოსა და ჩიბუხსა მიუსხდნენ; ქალები აქა-იქ ბანზედ მოგროვებულან და მუსაიფობენ ცისა და ბარისას; ყმაწვილები დახტიან, კირკიტობენ და ცვევენ ლეკურსა. ძვირას მეც შევერიე ამ ჯარსა და დარბაისლებში ერთი სახლის წინ ძალიან გახურებული დიმილიბიტრასა და ტაშის კერა იყო; აქ მარჯვეთ და ეშხიანათ თამაზობდნენ გასათხოვარი ქალები. მახლობლათ ამათი დედები და ნათესავები ისხდნენ, რომელიც სიამოვნებით უცქეროდნენ ახლგაზღობის მხიარულებას; შორს კალაოზედ ერთი დიდი გროვა გლეხები სჩანდა, რომელიც შემოსეოდნენ და ელოდნენ მოუთმენელად, რითი გათავებდნენ ორი ფალანის ქედობა.

იქ შორს სპარტანულ ბრძოლამ, აქ დაირმა, ცეკვამ, ტაშამ, თმა-გადაშლილ წელაწერა გოგოების ცელქობამ და ერთი ქერიე ქალის ყმაწვილებში გარეგამ და კისკისა ხმაურაობის მომატებამ, მეც ამიყოლიეს. ეს იყო მინდოდა მიმელო მონაწილეობა საზოგადოკმაყოფილებაში, ამ დროს ერთი 10 წლის ყმაწვილის დანახვამ სრულიად დამაიწყა ჩემი განზრახვა. ეს საბრალო ბრმა იყო, ყვეილს დაუტოვებია მისთვის სიბნელიე. ამას დაუმატეთ ისეც, რომ ამ ბედშავს არ გაჩნია არც და, არც მამა. რა სანუგეშო მდგომარეობაა!

ბანა არ შეიძლება, რომ მდიდარმაცა და ღარიბმაც თანასწორათ დაიფარონ თავი ამ სენიდან? განა მეცნიერების გამოჩენანი მარტო შეძლებულეს უნდა მსახურებდეს და გაჭირებულეს კი სულ ისევე უპატრონოთ შეუწყენელად უნდა იხოცებოდნენ?!

მართალია შორსა ვართ იმ დროზედ, როცა ყველას შეეძლება იწამლოს ნასწავლს ექიმთან და აღარ იქნეს იძულებული მიიქცეს მარჩიელთან, შელოცვზედ და ათას-

ნაირ საშუალებებთან. მხოლოდ ვიკლავთ ასე შეესრულებელია და იმდენი დაბრკოლებბა, განა რომ არ შეეძლებოდა ყველასაც აცრა საყოველთაო ელდებულად გახადოს მმაროებლობამ და მასთან კიდევაც შეუდგეს ამ ზომის სისრულეში მოყვანას! რამდენს სარგებლობას და სამადლო საქმეს მოიტანდა ის, განსაკუთრებით ღარიბისა და გაჭირებულის სოფოელისთვის! მინც სოფლის ცხოვრება იცის, იმან ისეც იცის, როგორის სისწრაფითა და სისასტიკით ედება ყვეილა სოფლებსა და რამდენს ადამიანს ამანინჯებს სამულამოთ, რამდენსა ჰკლავს უღროვოთ.

ნამეტურ წასრულ ზამთარში იყო აქ გაბრაზებული ყვეილი. მერ ნახავდით ერთ ოჯახს, რომ არ სტუმრებოდეს. ზოგი დაავრდო; ზოგი დაასაჯაყა და ზოგი სამარეში ჩაჰყარა. არის საშუალება ამ უბედური და საშინელი მოვლენისაგან იხსნან ხალხი, მაგრამ არავინ კი არ კისრულობს; არავინ ჰფიქრობს, ცოტათი მინც, შეუმსლუბქონ გლეხს გაჭირებული ცხოვრება; არავინ არ დასდევს ხალხის მოთხოვნილებას, საზოგადო საქირების დაკმაყოფილებას. დასაჯერებელია ეს!

ძალი მასწავლებელი.

თელავი, 7 თებერვალს 1874 წ.

„მადლ.რს მშვიერისა არა გაგვება რაო“, ამბობს რუ'ული ანდაზა.

შკითხველო, განა ეს მართალია? თუმცა ცხადია, რომ კაცს კაცის გრძობა, მდგომარეობა და საზოგადო სულის მოძრაობა ესმის, მაგრამ უნდა მოგახსენო, რომ ეს ანდაზა არ სტყუის. ბაუკინე ოთხი თვის ყმაწვილსა და მასაც, უცქველია, ის მშვენიერი ღიმილი მოუეა პაწაწინა უმანკო ტუჩებზედა, რომელიც ცხადათ გიმტკიცებს, რომ პატარა არსება, თანაუგრძობს შენს ალერსსა, შენს სულის მოძრაობას, გარეგნად სახეზედ გამოხატულს. შეუყარ ახლა შეუბლი, შეუბღვირე, გადაუტრიალ-გადმოუტრიალე თვალები, მიიღე მრისხანე სახე და დანახავი, რომ პატარა, აქნობამდინ მხიარული და ღიმილით საესე ტუჩებზედა, მოჰყვება ნელ-ნელა ჯერ ქოთინსა და შემდეგ ტირილსაც და თუ ეს არ დაემართა, პირს მინც მოგარიდებს უკუღმა მიხედვითა. ეს ყველა დედამ იცის კარგათა. თუ პატარა ასეთი მგრძობელია, მამ დიდი კაცი, რომელსაც უფრო სრულათ აქვს განსნილი

ერთზე მტერი ცოლი ჰყავდა ყველას წაერთო. მშრებიცა და ცოლებიც უთანხმოებას აცხადებდნენ!

ძალიან კმაყოფილებას და სისწრაფეს კი იჩენდნენ თორმე სენები ერთი მგორის ცოლების წართმევასზე. მართს სენს უბრძანა მღვდელთ მთავარმა, რომ სამი ცოლი-საგან ორი უნდა გაუშვაო. მანებდებრებული მეუღლე არ დათანხმა ამ სამართლის. მაშინ ეპისკოპოსმა მისცა ბრძანება ძალით წაერთმიათ ცოლები ურჩი ქმრისთვის, რაიცა სენებმა აასრულეს ძრიელის ხალისითაო, მოგვიტხოვრებს სენეთელი მემატანე.

საკვირველია ის სენა, როდესაც ერთს სენს სარჩვეში უშევებენ თავის ორ ცოლზედ. ან ერთი — ან მგორე, ეუბნება იმას კანონი. სენი დიდხანს არ ეთანხმება, მაგრამ ბოლოს ხედეს საშველი აღარ არის და ისევე ახალგაზდა ცოლს აძლევს უპირა-

ტვისობა. მაშინ იმას უბრძანებენ უფროსი ცოლის გაშვებას დედ-მამასთან. მაშინ ცოცხალი აღარ ვიქნები, ჩემთან ამდენს ხანს ნაცხოვრებ ქალს რომ სამოწყალოდ გაუშვებო, უბასუხებს სენი.

საბრალო სენი ბევრს საშუალებას სძებნის და ეუბნება პრისტავს, რომ გარეშე ვარჩენ ცოლსაო, მაგრამ ყოველი ვედრება ამოდ შეთება.

მაგრამ აი, შეხედეთ ამავს საგანზედ სჯვას ჩვენში. უ. აბ — მათელი ძალიან გვემდურის, რომ რამდენიმე მართალი სიტყვა წამოგვცდა ქალების სასარგებლოთ. ან ჩამოგდეთ ისევე თქვენ მშვიდობა ჩვენშიო — გვიბრძანებს უცნობი ქმარი — ან და ცულს რასმეს მოელოდეთო.

ხათბალა თუ გინდა ეს არის. აღოცვილო, რტყმევა, უსამართლოთ მოპყრობა და დაჩაგრვა თქენი ცოლებისა რომ გამხილეთ,

ცუდიო, ამან შემოგყვანა ოჯახში შფოთი და არეულობა?


რაიცა შეეცება იმას, რომ ჩვენ კანონები დაგვიწერათ, როგორი ცოლ-ქმრობა გექნეთ? შემდეგისათვის — ეს რა საჭიროა? ამისთანა კანონები გამოცემულიც გახლავს, კარგი ხანია, და თუ კიდევ სხვა ნაირი გნებაესთ უფრო კაცობრიული, თქვენი ნებაა. თქვენ, უ. აბ — მათელო, ჯერ პირობა მოგვეცით ქრემების მაგიერად, რომ შეასრულებთ ჩვენგან შედგენილს კანონებს და მაშინ ვინლა ოხერი იხოგავს თავს — დაგვიწერო. თორემ ჩვენ შრომა მივიღოთ და მერმე თქვენ ბრავები დაგვაგრიხთ — ვერ მოგართვით! არა, ხუმრობა გაშვებით, რამდენი გულდაწყვეტილი ქმარია, ყველას საყვედურს და მუქარას ვინ აუეა? მე, მოგახსენებთ, მშვიდობის მოყვარე კაცი გახლავარ, და ღმერთმა დამიფაროს ჩხუბისა და დავი დარაბისაგან. თუ თქენი ნება იქნება, ჩემო მრისხანე ბატონო აბ — მათელო, მე ყოველთვის მზათა

ვარ არა თუ უბრალო სამსახურზედ, არამედ ყოველს მსხვერპლზედ, ოღონდ კი გაზბდე ბედნიერი და თქვენი გული მოვიგო.

როდესაც გსურსთ, იმ დროს მიბრძანეთ, გახლებით, და ძალისა და შთაგონებისა მებრ ზეცისა ვეცდები დაეამყარო საუკუნო თანხმობა და ერთგულება შორის თქვენსა, მოწყალეო ჩემო ხელმწიფე, და მეუღლესა თქვენსა.

მაგრამ ერთს რასმეზედ კადეე გაგაფრთხილებთ: რადგანაც ჩვენი მსაჯულება იქნება დამოკიდებული მხოლოდ სინიდისზე, ამისთვის თქვენ სასტიკად აღგეკრძალებათ ყოველი აპელაცია და საყვედური.

მეველი.



გრძნობა, ქუა და გონება, უფრო ცხადთ არ უნდა გამოუხატავდეს ხოლო თანაგრძნობას. ჭირშია, თუ ლხინშია, თვის მოძმესა? მფიქრობ, ასე უნდა იყოს; გონება ასეთ დასკვნას მაძლევს; მაგრამ მე ცხოვრებაში ისეთ ფაქტებს ვხედავ, რომლებიც ჩვენს ანდაზას ამართლებენ, ამბობენ მის სასარგებლოთ. ამისთანა მაგალითები მრავლისაგან მრავალია. მე თავს არ მოგაწყენ, მკითხველო, მათი შორს ძებნითა. მართი მაგალითი, რომელზედაც მინდა შენ გელაპარაკო და რომელიც ამოვიჩიე მე ზემო მოყვანილი ანდაზის სიმართლის დასამტკიცებლათ, მაქვს თითქმის ცხვირს წინ. ხომ იცი, რომ ქვეყანაზედ არსებობენ მისთანა სუბიექტები, რომლებიც შეწუხდებიან ხოლომე მხოლოდ მაშინ, თუ-სხვა და სხვა უსიამოვნო ცხოვრების შთაბეჭდილების და გავლენის გამო დაჰტან მათ ცხვირზედ თვალმუწუკი. მსეც იცი, რომ ყველა საზოგადოებაში მოიპოვება ამ ნაირნი მარტო თავიანთ თავზედ მზრუნველნი პირნი. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ აქ, თელავში, ამოჩნდა მთელი საზოგადოება ამ მაღალი და კეთილი თვისების: ასეთი საზოგადოება არის მალათ თელავი.

პირველი შესანიშნავი თვისება და განსაკუთრებით ხასიათი, რომლითაც ეს საზოგადოება განირჩევა სხვა საზოგადოებებთან არის მეტის მეტი გონებითი გამოკრულება პირველად და მეორეთ, აქედან წარმოდგომილი პირდაპირი შედეგი გულის უგრძობობა ანუ, სწორეთ ვსთქვათ, გაქვევება. აი რით დაემტკიცებ მე ამასა. ჰველა ნომერი რუსული გაზეთებისა იმას გვეუბნება, რომ სამარის გუბერნიის საშინელი შიმშილი არის, რომ ხალხი იყლიტება შიმშილისგან და სჭამს იმასა, რასაც ძალი არ ეკარება; დიდი, პატარა, ღარიბი, მდიდარი-ქუიანი და უქუი—ყველა მას ცდილობენ, რომ შეწყვენა მისცენ ფულითა მშვიერ სამარელებს. აქ პროფესორი ლექციას კითხულობს სამარელების სასარგებლოთ; იქ მთავრობა ხაზინიდან ფულს უნაწილებს; აქ მღვდელი სცდილობს გამოიჩინოს თავისგონებით ძალა, მოიხსროს თანამგრძობელნი ამ კეთილი საქმისა; იქ ზოგი ბეჭდავს წიგნსა და შემოსავლის რამდენიმე პროცენტს უნაწილებს მშვიერს სამარელებსა. მართი სიტყვით ყველა სწუხს და ფიქრობს უბედურ სამარელებზედა.

თელაველები რადს შერებენ? შურსაც არ იბერტყავენ, აზრათაც არ მოსდით სასარგებლის შეწუხება შიმშილისგან. თელაველს კაცს ოღონდ კი თითონ ჰქონდეს მუცელი მაძარი, თორემ სხვა ყველა ფეხებზედ ჰქიდა. ნუ იფიქრებ, მკითხველო, რომ იგი შეწუხდეს სხვის გაჭირვებითა, უბედურებითა. ის თავის ცხვირის იქით არაფერზედ არ ზრუნავს. ასეთი გულგრილობა და უგრძობელობა თავის მოძმის უბედურებისადმი იხატება მისი პირის სახეზედაც. შეხედე კარგათ თელაველსა, დააფიქრდი სიარულში და შენიშნე უზრუნველობასა. მისი პირის სახე აზრის, ფიქრის კვალს არ წარმოგიდგენს.

და თუ ფიქრობს განა რაზედა, მკითხველო, ცხადია, ან ღვინოზედა და ან ქაღალდის თამაშობაზედა. თუ სადმე სადილი და ან საზოგადო ვახშამი გამოსტყერა, მაშინ, ნუ გენადელებს, ის არ ზოგავს ორ მანეთსა ფსონისთვის და სამარელებისთვის კი ორი კაპიციც უმძიმს.

ღვს რაღაც ქაღალდი მომიტანეს. აქ ქაღალდზედ აი რა ეწერა: მ ფებერვალს იქნება ვეჩერი. ამ ვეჩერის მსურველებმა

კაცებთაგანმა უნდა მოაწერონ ორი მანეთი და ქალებთაგანმა თითო მანეთი. ამისთანა ვეჩერების გაკეთებას მიიღებს ხოლომე აქაური საზოგადოების თავი, მაშასადამე წინა კაცი—ბობოლა. აი აქაური წინა კაცები უფრო მალე მოახერხებენ ხოლომე ვეჩერების გაკეთებას—თუ შოიწადინეს, ვიდრე სამარელების სასარგებლოთ ფულის შეკრფას მართი კაცისგან არ გამოვიჩინო სურვილის გამოცხადება ფულის შეკრფის შესახებ სამარელებისთვის, თუმც მთელი ქვეყანა მათ თანაუგრძობს.

თელაველებო, და წინა კაცებო! ამ ვეჩერების გამართვის მაგიერათ ის არა სჯობს, რომ სამარელებს ფული შეუკრიფოთ. თელაველებო და წინა კაცებო! ფეხების დამტერვას ტანციობაში ვეჩერებდა და ერთგულთ მტერის ყლაპავს ის არ სჯობს, რომ რამდენიმე მშვიერი სამარელი გადაძლოთ იმ ფულითა, რომელიც ჩვენგანს უნდა მიეცა ვეჩერის გასამართავთ?!?!...

ზანა, ბობოლებო, ფულების შეკრფას სამარელებისთვის უფრო ბევრი დაეიდარება უნდა, ვიდრე ვეჩერების გამართვას?!?!...

თელაველებო! დაეჯერო, არ იცი, რომ სხვასაც ისეთი მუცელი აქვს, როგორც თქვენა და სხვაც ისე შეწუხდება უქველობითა, შიმშილითა, როგორც თქვენი გაქვევებული გუფი და გაყინული ძალი და კეთილშობილი გრძნობები!!! მართლაც საკვირველნი არიან თელაველები!...

აიღვე ვიტყვი: მისკის უფლის უჩილიშჩის სმოტრიტელმა გამოუცხადა პატარა ყმაწვილებს, თავის შეგირდებს, რომ არიან თქვენისთანა პატარა მშვიერი ყმაწვილები და ვისაც სურს ფული შესწიროს მათ სასარგებლოთ. მეორე დღეს ყველას შეძლებისაგვართ მოჰქონდათ თავის უფროსთან მშვიერი ყმაწვილების სასარგებლოთ ფულები—მდიდრებს მანეთები და ღარიბებს კაპიციბი.

თელაველო, შენ რაღას ფიქრობ?? ნუ თუ არ გრცხვენინ ამ მაგალითისა???

თუ ეს მაგალითი მსურვალე და გულითადი თანაგრძნობა პატარა ბავშვებისა არ იმოქმედებს შენზედა, მაშ მე ნულარ დამიწყებ გინებას, რა გავწერ გაქვევებულ გულსა. მართალია, დავთანხმები, თელაველო, რომ გულის სიმაგრე ძრიელ კარგი ზნეობითი თვისებაა, მაგრამ, განა ამ შემთხვევებში???

თუ ეს ჩემი სიტყვები არ იმოქმედებენ შენზედა, მაშ განა, თელაველო, საფუძველი არ შექნება ვსთქვა, რომ სწორეთ შენზედ არის ნათქვამი ანდაზა „მადარს მშვიერისა არა ესმოდა რაო“. ოი, უმეცრებაე!!! ოი, უგრძნობელობაე!!!

აღუქსანდრე ქაქაიძე!

აი ეს ერთად ერთი კორრესპონდენცია, რომელიც ჩვენ მივიღეთ ქახეთიდან ამ ერთი წლის განმავლობაში, შიზიუსი შიმშილობის აქეთ.

პასუხე პასუხი

როგორც იქნა, ყელირსეთ პასუხს მ. არდიშვილისაგან „დროების“ მე № 411. ჩემი უმთავრესი აზრი პასუხის მოთხოვნისა „დროების“ მე № 404 მდგომარეობდა იმში, რომ დამემტკიცებია რამოდენიმე პირთათვის და მთავრობისათვისაც, რომ მე მ. არდიშვილისაგან გაგზავნილს კორრესპონდენციაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. ამისთანა ეჭვი შემოიტანეს ჩემზე მით, რომ მღვდელი არდიშვილი მსახუ-

რობს ჩემთან თანაშემწეთ. ამ მხრით მე ყოფილი ვარ მისი პასუხისაგან.

რაცა შეეხება მას, როჲ, ეთომც მან არ იცის საბუთების კეთებაში ვახდენენ რამეს თუ არა, ეს წინააღმდეგ მისი სენილისა არის ნათქვამი. ის არის ჩემი საბლალოჩინო მღვდელი და თანაშემწე და თუ ოდესმე ბლალოჩინები ადგენდნ საბუთებს თავის საბლალოჩინო მღვდლებთა, ეს ჰქონდა მინდობილი მას ჩემგან და ის ადგენდა და არა მე. როდესაც მ. არდიშვილმა თავისი ცუდის მოქცევით მოიმღურა ყველა სამღვდლოები, მიიძულებული ვიყავი მათთვისვე მიმენდო და მთ ეკეთებინებიათ როგორათაც სურდათ. ეს ასეა დღესაც. ამაზედ ვიმოწმებ მე ყველა მღვდლებს.

ბ. დ. ლაშაშვიძე.

წიგნი რედაქტორთან

ამ შორაპნის უფლის პიროვის პოსრედნიკი ქირით იდგა ჩემ სახლში დ. შვირილაში წელიწად-ნახევარი; მაგრამ აგერ ერთი წელიწადია რაც მეთათისში დგას და ჩემს სახლებში აღარ არის. შენი მტერი შეწუხებულა ისე, როგორც მე მისი ოტდელი ხალხისაგან ვიყო შეწუხებული. მოსვენება აღარა მაქვს აზნაურებისა და გლეხებისაგან. მე რომ ან ვწერდ, ანუ რაიმე საქმეზე ვაღვე, ჩემს სახლში მოვა ერთი ხროვა ხალხი და კითხულობს: ბატონო, პიროვის პოსრედნიკს დავეძებთ ეს ერთი თვეა, საჩივარი საქმეები გვაქვს, ვადა მიღის და ვილუბებით, აქ ხომ არა დგა? მაშოვდივარ და ვეუბნები: არ არის აქ. ეს ერთი წელი გაღის სულ ამ წვადებაში ვარ ამ ხალხისაგან. ბთხოვთ გამოცხადოთ „დროებაში“, რომ ეს პიროვის პოსრედნიკი ჩემ სახლში აღარა დგას, მეთათისშია, იქ სცხოვრობს.

ბ. დ. ლაშაშვიძე.

ფებერვლის 20 1874 წ.

რუსეთი

საქმეველთაო სახმადრო სამსახურის ვმდებუა.

„დროების“ წასრულ ნომერში ახალი სამხედრო წესდების ნაწილი იყო დაბეჭდილი, რომელშიაც ერთი კორრესტურული შეცდომა მოგვევლია.

დაბეჭდილი იყო:

4) მანათიუსუფლებულია აგრეთვე სამხედრო სამსახურისაგან სხვა და სხვა უცხო ტომის ხალხები და უცხო ქვეყნელები, რომელთაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიუღიათ.

უნდა წაკითხოთ:

4) დროებით განათიუსუფლებულია აგრეთვე სამხედრო სამსახურისაგან სხვა და სხვა უცხო ტომის ხალხები და უცხო ქვეყნელები, რომელთაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიუღიათ.

გაგრძელება წესდებისა შემდეგ ნომერში იქნება.

— შიატკის გუბერნიის საერო კრებას ოცდა ხუთი ათასი მანეთი დაუნიშნავს ამ წელს სახარჯოდ შიატკის საერო სასწავლებლისათვის, რომელიც დწესებულია მეურ-

ნეობისა და სხვა და სხვა ხელოვნების ცენტრ ცელებლად და სახალხო მოლოცისათვის მასწავლებლების მოსაზრებლად.

— მოლოცვის ქალაქის ეპარხის, მოხელებების და მცხოვრებლების წარმომადგენლებს დაუნიშნავთ რეალური შკოლისათვის 2000 მანეთი შესაწვეარი ყოველ წლობით, რადგანაც კლასიკური სასწავლებლები ცხოვრებაში გამოსადეგ სწავლას არ აძლევენ და მათებელიაო, მეტადრე იმათთვის, ვინც გიმწაზიის კტრისს გათავების შემდეგ სწავლის გაგრძობას არ ჰფიქრობსო.

— მათებები გეატყობინებენ რომ ახალი სამხედრო წესდების შემოღების შემდეგ რუსეთში მშვიდობიანობის დროს 750 ათასი ჯარი უნდა იქნესო; ამას გარდა სამხედრო ტანისამოსის ფორმაც ახალი იქნება, პრუსიელი ფორმის მზგავსი, და საყელო მაღალი სამ ღუგმიანი.

— პეტერბურლის უნივერსიტეტში 1874 წ. პირველის იანერისათვის ითვლებოდა 1,142 სტუდენტი და 54 თავისუფალი მსმენელი. უკანასკნელი თორმეტი წლის განმავლობაში ყველაზედ უფრო მრავალი სტუდენტი 1861-ში ყოფილა, დროებითად უნივერსიტეტის დახურვის წინ, სახელდობ 1442 სტუდენტი. 1863 წელში, როცა უნივერსიტეტი გახსნეს ახალი წესდების საფუძვლებზედ, ყოფილა 400 სტუდენტი; მეგრე სტუდენტების რიცხვს უმატია და 1871 წ. 1285-დის მიუწვეია. მას აქეთ სტუდენტების რიცხვი ხელ ახლა კლებულობს.

უცხო ქვეყნები

პარიზი, 17 ფებერვალს 1874 წ.

ნაიმპერატორალი ნაპოლეონის ნამინისტრალმა, უფ. რუერმა, ერთხელ კოფე ალაპარაკა საფრანგეთი,—და ვინ იცის, იქნება უკანასკნელადაც არ იყოს: სამი დღის წინათ იმან დაბეჭდა ბონაპარტულ გაზეთებში შემდეგი წიგნი:

„მაკ-მაჰონის შვიდი წლის პრეზიდენტობა დროებითი უფლებაა; სხვა და სხვა მოულოდნელ გარემოებებს შეუძლია ამ ვადის შემოკლება, მაგრამ ჩვენი პარტის—ბონაპარტელების—სარგებლობა მოითხოვს, რომ წინ არ აღუდგეთ ამ უფლებას... ამ დროს განმავლობაში ჩვენ მომავლისათვის უნდა მოვეზადოთ...“

„შემდეგში მხოლოდ ორ მმართველობას შეაერთი და ერთი უნდა ამოარჩიოს საფრანგეთმა: ან რესპუბლიკა და ან იმპერია. სხვა პარტები თავის გამოყოფას ვერ გაბედავენ...“

რადგან ვხლა აქ ყველიერების გამო ნაციონალური კრების სხდომები დროებით შეწყვეტილია და სხვა სალაპარაკო არა აქვთ რა, თითქმის ყველა გაზეთები ამ წიგნზე ლაპარაკობენ. და ღირსიც არის ყურადღების მიქცევისა: ხედავთ, როგორი სითამამით ლაპარაკობს მომავალზე ბონაპარტელების მოთავე! არც ლეგიტიმისტებს, არც ორლეანისტებს აინუშნიაო არ ადგებს: „ისინი ვერ გაბედავენ თავის წამოყოფასაო!“

×

ნაციონალური კრება და თვით მმართველობა დაფთხო ამ წიგნმა: უფ. ბროჰლის, როგორც ამბობენ, წაუკითხავს თუ არა ეს წიგნი, იმ წამსვე მინისტრების კრება შეუდგენია და მოულაპარაკიანთ—თუ როგორ უნდა მოეკცეთ, ვინცობაა, ბონაპარტელებმა რამე რომ მოახდინონო. ნაციონალური კრების მონარხიელები საჩქაროთ შეკრებილან და გარდაუწყვეტიანთ: სანამ ბონაპარტელები რასმე შეუდგებიან, ხელახლავ ვცადოთ და იქნება როგორმე

შამბორი დასავლეთსაფრანგეთის ტახტზედა. ამ უკანასკნელი ოთხი დღის განმავლობაში, გაზეთს ვერ ნახეთ, რომ ამ რუერის წიგნზე რამდენიმე სიტყვა მაინც არ იყოს. რესპუბლიკელები, მართალია, იცინიან, მაგრამ თვით ამ სიტყვაში კარგათ გამოიყენებენ კაცი, რომ რუერის წიგნი და საზოგადოთ ბონაპარტელების ინტრიგები იმათ ისე სასაცილოდ და საშინალოდ არ მიიჩნიათ, რომ ისინი კარგად დაფიქრებულნი არიან.

რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ რესპუბლიკელებს ან სხვა ვისმე კიდევ უნდა ეზინოდესთ ბონაპარტელების გაბატონებისა? ნუ თუ საფიქრებელია კიდევ, რომ იმ დინასტიას, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა, რომელმაც ასე დაამცირა საფრანგეთი, კიდევ დასევამ თავზე საფრანგეთის ხალხი? აი ამის პასუხი:

ბონაპარტელებს გარდა ყველა დარწმუნებულობა, რომ საფრანგეთი იმპერიით აღარ გადაიქცევა; ყველა დარწმუნებულობა, რომ რამდენიც უნდა ატყუონ ბონაპარტელებმა ხალხი, რამდენიც უნდა ეცადონ, „პატარა ბაღანგე“ საფრანგეთის ტახტზე შესუბავს ევლარ ელირსება. მაგრამ საქმეს მეორე გარემოება ხლართავს და ახსნევებს თვით ბონაპარტელებსა: ესლანდელი რესპუბლიკური მმართველობა ყველაფერში ისე იქცევა, რომ თითქო განგებ ჰსურს ხალხს რესპუბლიკური მმართველობის ფორმა შეაძულოს: ის ავიწროებს პოლიტიკურ უფლებებს, ავიწროებს სტამბას, ამორჩევითს უფლებას, ხალხს მომეტებულ გადასახადს და ხარჯს ადებს, ერთი სიტყვით იმის გარეგანი და შინაური პოლიტიკა ყოველის მხრით საფრანგეთის დამამცირებელი და ხალხის გამაბრაზებელია.

რა გასაკვირველია, რომ ამისთანა მდგომარეობაში ბონაპარტელმა პარტიამ, რომელიც ცეზარული დემოკრატიის წარმომადგენელია, მომხრეები იპოვოს საფრანგეთში! რა გასაკვირველია, რომ ერთ მუტა გაბრაზებულმა ხალხის გროვამ, ესლანდელი მმართველობისაგან მოთმინებიდამ გამოსულმა და ბონაპარტელებიდან წაქეზებულმა, რაიმე თავნებური საქმე ჩაიდინოს და რესპუბლიკის დამხობა მოინდომოს!

რა საკვირველია, ერთი მუტა გროვა ხალხი ვერაფერს იქა, იმათი მეცადინეობა მალე დამარცხებული იქნება; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს მეცადინეობა, ეს მოუსვენარი ინტრიგები ხალხს ალღევებს, მშვიდობიანობას, მოსვენებას, ხელისდელი დღის იმედს უკარგავს და ეპურობას, წარმოებას, ყველა საქმეებს აჩერებს.

აი, ამიტომ არიან რესპუბლიკელები დაფიქრებულნი; ამიტომ ცდილობენ ისინი, რომ ერთხელ და სამუდამოდ მტკიცედ დამყარდეს საფრანგეთში რესპუბლიკური ფორმა მმართველობისა.

ამას გარდა აქური გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ ესლა პესტრიის იმპერატორის, ჭრანც-იოსების, რუსეთში სტუმრობაზე. დამლული სიხარულით ამბობენ ისინი, რომ პესტრიისა და რუსეთის იმპერატორების შეყრას პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვინ იცის, იქნება პრუსიის წინააღმდეგს რასმე განიზრახვენო, რუსეთსა და ბერმანას ანგარიშები აქეთ ერთმანეთში გასაწყმენდია და სხ. და სხ.

მასულ კვირაში საფრანგეთს ერთი საუკეთესო ისტორიკოსთაგანი და თავის მოყვარული შვილი მოაკლდა: მოკვდა მიშლე. მთელი საფრანგეთი, ყველა პარტიის გაზეთები დასტირიან ამ გამოჩენილი სწავლულის და მამული, შვილის სიკვდილს. მიშლე ერთ უბრალო მესტამბის შვილი იყო; თავის მეცადინეობით და ნაქით იქამდი მოწია, რომ 1838 წ. ერთს უმაღლეს სასწავლებელთაგანში ისტორიის პროფესორად დანიშნეს; იმის ლექციები იმდროს არა თუ საფრანგეთში, თითქმის მთელს მეროპაში განთქმული იყო. ის იყო მჭევრმეტყველი მომხრე ყველა ახალი დროის აზრებისა, და დაუზოგველი მტერი ხალხის დამხვერელი ძლისა, იფუტიტებისა და დესპოტიზმისა. საფრანგეთის იმ დროის ახალგაზღვრება გროვ-გროვით მოდიოდა იმის ლექციებზე და აღტაცებით უგდებდა იმას ყურს. ამისთანა კაცს პროფესორობა მაშინდელ საფრანგეთში, რასაკვირველია, დიდხანს არ შერჩებოდა: ლუი შილიპის მმართველობამ

დააყენა ის კათედრიდამ, რომელიც 1848 წლის რევოლუციამ ხელახლად ჩააბარა. 1851 წელს, როდესაც ლუი-ნაპოლეონმა coup d'état მოახდინა და საფრანგეთის პედი ჩაიგდო, ძალით, ხელში, მიშლემ თავის პროტესტი განაცხადა. ამ წელსვე იმის ლექციები მოსვეს. 1870 წელს, საფრანგეთის დამარცხებამ თითქო მოუკლა იმას გული; მას აქეთ იმას აღარ გაუხარია და წასულ კვირას ყველასაგან პატივცემული მოხუცი სრულებით გამოეთხოვა ამ ქვეყანას. სხვა და სხვა იმის ისტორიულ თხზულებებს შუა, შესანიშნავია იმის „საფრანგეთის ისტორია“ (1833—1857), „საფრანგეთის რევოლუციის ისტორია“ (1847—1853) და სხე.

პირველი მარტისათვის მიენისა და მოკლუხის დეპარტამენტიში ორი კანდიდატის ამორჩევაა დანიშნული. რესპუბლიკურმა პარტიამ მოკლუხის დეპარტამენტი თავის კანდიდატად გამოჩენილი რესპუბლიკელი, 1848 მმართველობის წევრა, ლედრუ როლენი დანიშნა და როგორც გაზეთებშია გამოცხადებული, ესეც დათანხმებულა. ამ კანდიდატურას ესლა ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

დებუმა შეგატყობინებდათ ინგლისის ამორჩევის შედეგს: 652 დებუტატში 353 კონსერვატორი ამორჩიეს და 299 ლიბერალი; დიზრაელმა გაიმარჯვა, ზლადსტონი დამარცხებულია და, როგორც ამბობენ, პარლამენტის განსამდი დაანებებს სამინისტროს თავსაო. მართი შეხედვით კაცს ეგონება, რომ ინგლისში მართლა ხალხის მომხრეები დამარცხდა და იმის მოწინააღმდეგეებმა კი გაიმარჯვესო. სრულებითაც არა: უნდა იცოდეთ, რომ ხალხისთვის ლიბერალური და კონსერვატორული პარტია ორივე ერთია, არც ერთისაგან არ მოეღის ის თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას, არც ზლადსტონის და დიზრაელის პარტიისაგან. ხალხმა ხუთი თავის წამდელი წარმომადგენელი აირჩია, ამ ხუთში ორი მუშაა და ყველანი რესპუბლიკელები. აი, ეს გარემოება ყველაზე უფრო შესანიშნავია ესლანდელს ინგლისის ამორჩევებში.

შეელსაგან პატივცემულ ოთხმოცდა ერთის წლის მოხუცს რახპერს ენოქსონდელს მმართველობამ ერთი კლენდრის გამოცემისათვის ორი წლის ციხეში ჩაწყვედუვა გადაუწყვიტა. ამ საქმეში ყურადღების ღირსი ის არის, რომ მაკ-მაჰონის მმართველობამ იმ სტატიებისთვის დასაჯა ეს გამოჩენილი სწავლული რესპუბლიკელი, რომელიც ნაპოლეონის დროსაც იყენენ დაბეჭდილნი...

ს. მესხი.

„დროება“

1874-ში გამოცემა იმევე პროგრამით და იმევე პირობის თანამშრომლობით, როგორც წელს გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისს — „დროების“ კანტორაში, ივანოვის ბაბლიოტეკაში. შუთისს — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოტეკაში.

ზარევე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნები:

Въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты „ДРОЕБА“.

„დროება“ ელირება გაგზავნიით: ერთი წლით — ექვს მანეთად, ნახევარი წლით — სამ მანეთად.

„პირველი“ და „დროება“ ერთად ელირება გაგზავნიით: ერთის წლით — ცხრა მანეთად და ნახევარი წლით — ხუთ მანეთად.

მისაც შარშანდელი „დროების“ ფასი არ შემოუტანია, ვთხოვთ, მალე გამოგზავნონ რედაქციაში.

განცხადება

ივანოვის ბიბლიოტეკაში ისყიდება შარლ-ფრანსუჟული ლამსიკონი, შედგენილი იე. როტინიანცისაგან. ფასი ერთი აბაზი

объявление.

Считаю долгомъ уведомить почтенѣйшую публику, что на Базарной улицѣ, въ домѣ Тамашева, около Казенной Палаты, я открылъ типографію, гдѣ принимаются всякаго рода типографскіе заказы и работы, которые исполняются весьма аккуратно.

Ефимій Хеладзе.

„დროება“. 1874, № 413

ცნობათ-ფურცელი

თფილისი, 1 მარტი 1874 წ.

რკინის ზზა		საცხლის გვემები		ფოშტა		ბირჟა		თფილისის მაზანდა		სახაზინო განცხადებები	
ა) თფილისიდან	დღლა	სალაშო	ა) შავ-ვღვაზე	ა) თფილისიდან	პეტერბურგი, 15 ფებერ.	მან. კაპ.	თფილისის მაზანდა	მან. კაპ.	სახაზინო განცხადებები	მან. კაპ.	სახაზინო განცხადებები
თფილისი	8.8	8.17	შოთილამ გემი მიდის:	რუსეთის ყოფ. დღეს, კვირას გარდა.	ბანკის ბილიტი 5%	97	28 ფებერუალს, 1874 წ.	1	პური მრევის	1	პური მრევის
მცხეთა	9.8	10.1	მდესისკენ — ხუთშაფა, შუადღეზე.	მუთისის; ყოველ-დღე კვირას გარდა.	მოგებიანი (პირველი სესხის)	166	— მანჯის	1	— მანჯის	1	— მანჯის
ბორი	11.39	1.43	სტამბოლს — კვირათბით შუადღეზე.	მახეთს, ზუგდიდს; პარასკ. მსურ	მოგებიანი (მეორე სესხისა)	165 75	— შორაგლის	1	— შორაგლის	1	— შორაგლის
სურამი	1.52	4.30	საბუმიდამ:	გეთს: ორშ., პარ. ბაქოს; სამშაფათს	ქურსი		ჭეი.	60	ჭეი.	60	ჭეი.
ჭყირილა	6.49		შოთს — სამშაფათს, ღამე.	და პარასკ. აღექსანდრეპოლს;	ერთ მანეთში იძლევიან.		ბაშა მრევის	4 10	ბაშა მრევის	4 10	ბაშა მრევის
მუთისი	7.55		მდესას — პარასკევს, შუადღეზე.	ოთხშ. და პარასკევს. (შუადღემდი)	ლონდონში.	323 4	— ამერიკისა	5 70	— ამერიკისა	5 70	— ამერიკისა
სამტრედია	9.02		ბ) ქასპიის ზღვაზე:	ბ) მუთისიდან:	პარიჟში	348	ბაშა მრევის	8	ბაშა მრევის	8	ბაშა მრევის
ახალ-სენაკი	10.02		ბაქოდამ გემი მიდის:	თფილისს და რუსეთს: ორშაფა.	ქენაში	73 4	მატული თუშური	6	მატული თუშური	6	მატული თუშური
შოთი	11.27		ასტრახანსკენ —	ოთხშაფა და პარასკ. შოთს და	სკონტი (სარგებლის ფასი)	73 4	— თრაქული	4	— თრაქული	4	— თრაქული
შოთი	7.38		ასტრახანსკენ —	შაფა. მსურგეთს, ზუგდიდს	ბორაოს ფურცლები:	85	პარეშუმი	4	პარეშუმი	4	პარეშუმი
ახალ-სენაკი	9.11		ტელეგრაფი	და ახალ-სენაკს: ორშაფათობით	ხერსონის ბანკისა (5 1/2)	85	შონი	4	შონი	4	შონი
სამტრედია	1 0.2		თფილისიდან:	სალამოზე.)	ხარკოვის (6%)	83	შონის სანთელი	6	შონის სანთელი	6	შონის სანთელი
მუთისი	1 1.7		გ) ბორიდან:	გ) ბორიდან:	მოსკოვის (5%)	87 75	სტეარინის სანთელი	11	სტეარინის სანთელი	11	სტეარინის სანთელი
ჭყირილა	12.38		შოველგან: ორშაფა ოთხშაფა და	შოველგან: ორშაფა ოთხშაფა და	აქციები:		ხორცი ქოხის	80	ხორცი ქოხის	80	ხორცი ქოხის
სურამი	4.57		პარასკევით (სალამოს შეიდ სათამდე)	პარასკევით (სალამოს შეიდ სათამდე)	შეიზღვის ცეცხ. გემების	570	— ცხვრის	90	— ცხვრის	90	— ცხვრის
ბორი	7.23		მუთისს, შოთს	მუთისს, შოთს	ქაეკაზის და მერკურის	188	სპირტი	7	სპირტი	7	სპირტი
მცხეთა	9.52		ბორს, ღუშეთს, სიღნახს.	ბორს, ღუშეთს, სიღნახს.	შოთი-თფილ. რკინ. გზის	128	— შაქარი კარგი	7 85	— შაქარი კარგი	7 85	— შაქარი კარგი
თფილისი	10.49		როსტოფს მდესას მოსკოვს.	როსტოფს მდესას მოსკოვს.	თფილისის სავაჭრო ბანკის	—	— მდარე	7 75	— მდარე	7 75	— მდარე
პ) შასი თფილისი-			პეტერბურგს, მარშაფას.	პეტერბურგს, მარშაფას.	მდესის სავაჭრო ბანკის.	263	— შხენილი	6	— შხენილი	6	— შხენილი
დამ			მენას, პესტრიაში	მენას, პესტრიაში	„სალამანდრასი“	340	— შავა ბრგვლი	20	— შავა ბრგვლი	20	— შავა ბრგვლი
პეტეამდი	9.0	68	ბერმანაში	ბერმანაში	კაპ.	100	— საშუალი	18 50	— საშუალი	18 50	— საშუალი
ბორამდი	3.20	2.40	იტალიაში	იტალიაში	კაპ.	100	— მდარე	16 50	— მდარე	16 50	— მდარე
სურამი	5.22	3.92	საფრანგეთში	საფრანგეთში	კაპ.	100	— შეთი ქუხუთის	7	— შეთი ქუხუთის	7	— შეთი ქუხუთის
მუთისამდი	9.1	6.75	საფრანგეთში, მსპალეთში.	საფრანგეთში, მსპალეთში.	კაპ.	100	— მჭარე	4	— მჭარე	4	— მჭარე
შოთამდი	13.1	9.75	ინგლისში	ინგლისში	კაპ.	100	მქრო ნახევარი იმპერიალი.	6 3	მქრო ნახევარი იმპერიალი.	6 3	მქრო ნახევარი იმპერიალი.